ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 13

ქ. წალენჯიხა 2011 წ. 12 აპრილი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი შემდგომში „შემსყიდველი" დირექტორი გია აკობიას სახით და მეორე მხარე ინდ/მეწარმე „ტარიელ ქარდავა"-ს სახით შემდგომში „მიმწოდებელი".

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრს" შემდეგი მომსახურეობა: სკოლამდელი აღზრდის ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღების მომარაგება რბილი ინვენტარით: ლეიბებით, საბნებით და თეთრეულით.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" შესრულებულ სამუშაოზე 4154 (ოთხიათასასორმოცდათოთხმეტი) ლარი.

4. მომსახურების მიწოდების ვადები.

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას აღნიშნული მომსახურება მიაწოდოს „შემსყიდველს" 2011 წლის 12 აპრილიდან 2011 წლის 15 მაისამდე.

5. ანგარიშსწორების ფორმა

5.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, "ლიბერთი ბანკის" წალენჯიხის ფილიალში.

5.2. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდეს წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედდებულის ხელმოწერის შემდეგ.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ სასაქონლო ზედდებულის და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

7. დავების გადაწყვეტის საკითხი

7.1. მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთ მოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე შეიძლება გადაეცეს სასამართლოს.

8. ფორს–მაჟორული სიტუაციები

8.1. ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს ორივე მხარეს საჯარიმო სანქციების გამოყენებისაგან.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისთანავე "მიმწოდებელი" "დამკვეთს" უგზავნის შეტყობინებას ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.